ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლიტერატურული საქართველო

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1943 Წ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ № 23 (299) ᲤᲐᲡᲘ 50 ᲙᲐᲞ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡ
ᲕᲘᲪᲔ-ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲡᲙᲘᲡ

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა შავი ზღვის ფლოტის გემებთან და ნაწილებთან თანამოქმედებით გაბედული ოპერაციის შედეგად, ხმელეთიდან დარტყმით და ზღვიდან დესანტის გადასხმით ხუთი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რომელთა განმავლობაში განადგურებულია გერმანელთა 73-ე ქვეითი დივიზია, გერმანელთა მე-4 და 101-ე სამთო-მსროლელი დივიზიები, რუმინელთა მე-4 სამთო-მსროლელი დივიზია და გერმანელთა საზღვაო ქვეითი ჯარის სანავსადგურო რაზმები,—დღეს, 16 სექტემბერს, იერიშით დაიკავეს შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადგური და ქალაქი **ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘ**.

ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ᲚᲔᲡᲔᲚᲘᲫᲘᲡ** ჯარებმა, კონტრ-ადმირალ **ᲮᲝᲚᲝᲡᲢᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ** მეზღვაურებმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘᲡ** და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ᲔᲠᲛᲐᲩᲔᲜᲙᲝᲕᲘᲡ** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

პოლკოვნიკ **ᲕᲠᲣᲪᲙᲘᲡ** 318-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ᲐᲠᲨᲘᲜᲪᲔᲕᲘᲡ** ირკუტსკის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის ლენინის ორდენოსანმა და სამგზის წითელდროშოვანმა გვარდიის 55-ე მსროლელმა დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ᲙᲠᲐᲡᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ** 83-ე წითელდროშოვანმა ცალკე საზღვაო მსროლელმა ბრიგადამ, პოლკოვნიკ **ᲨᲣᲠᲣᲮᲘᲜᲘᲡ** გვარდიის მე-5 სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ᲞᲘᲡᲙᲐᲠᲘᲝᲕᲘᲡ** შინსახკომის ჯარების 290-ე ცალკე მსროლელმა პოლკმა, კაპიტან-ლეიტენანტ **ᲑᲝᲢᲘᲚᲔᲕᲘᲡ** საზღვაო ქვეითი ჯარის 393-ე ცალკე ბატალიონმა, პოდპოლკოვნიკ **ᲒᲣᲑᲠᲘᲘᲡ** შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-11 მოიერიშე საავიაციო დივიზიამ, მაიორ **ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲔᲜᲙᲝᲡ** გვარდიის 88-ე გამანადგურებელმა საავიაციო პოლკმა, მაიორ **ᲑᲝᲩᲐᲠᲝᲕᲘᲡ** 889-ე ღამის მსუბუქ-ბომბდამშენმა საავიაციო პოლკმა, მე-2 რანგის კაპიტან **ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲙᲝᲡ** სატორპედო კატერთა მე-2 ბრიგადამ, კაპიტან-ლეიტენანტ **ᲒᲚᲣᲮᲝᲕᲘᲡ** სადარაჯო კატერთა 1-ლმა წითელდროშოვანმა დივიზიონმა, კაპიტან-ლეიტენანტ **ᲡᲘᲞᲘᲐᲒᲘᲜᲘᲡ** სადარაჯო კატერთა მე-4 დივიზიონმა, პოდპოლკოვნიკ **ᲐᲮᲢᲘᲠᲩᲔᲜᲙᲝᲡ** 81-ე საჰაუბიცო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ᲙᲔᲢᲠᲣᲜᲘᲐᲡ** გვარდიის 69-ე საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ **ᲢᲐᲠᲐᲡᲝᲕᲘᲡ** 1.169-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკმა, მაიორ **ᲑᲐᲑᲘᲩᲘᲡ** გვარდიის 108-ე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელმა საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ᲘᲕᲐᲜᲘᲡᲘᲡ** 195-ე სამთო-სასაპალნო-სანაღმტყორცნო პოლკმა, მაიორ **ᲛᲐᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝᲡ** გვარდიის პირველმა ცალკე საარტილერიო დივიზიონმა, კაპიტან **ᲡᲝᲚᲣᲘᲐᲜᲝᲕᲘᲡ** 251-ე ცალკე მოძრავმა საარტილერიო დივიზიონმა, პოდპოლკოვნიკ **ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ** გვარდიის მე-8 სანაღმტყორცნო პოლკმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, 318-ე მსროლელ დივიზიას, 83-ე წითელდროშოვან ცალკე საზღვაო მსროლელ ბრიგადას, გვარდიის მე-5 სატანკო ბრიგადას, შინსახკომის ჯარების 290-ე ცალკე მსროლელ პოლკს, საზღვაო ქვეითი ჯარის 393-ე ცალკე ბატალიონს, მე-11 მოიერიშე საავიაციო დივიზიას, გვარდიის 88-ე გამანადგურებელ საავიაციო პოლკს, 889-ე ღამის მსუბუქ-ბომბდამშენ საავიაციო პოლკს, სატორპედო კატერთა მე-2 ბრიგადას, სადარაჯო კატერთა 1-ლ წითელდროშოვან დივიზიონს, სადარაჯო კატერთა მე-4 დივიზიონს, 81-ე საჰაუბიცო საარტილერიო პოლკს, გვარდიის 69-ე საარტილერიო პოლკს, 1.169-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკს, გვარდიის 108-ე გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკს, 195-ე სამთო-სასაპალნო-სანაღმტყორცნო პოლკს, გვარდიის 1-ლ ცალკე საარტილერიო დივიზიონს, 251-ე ცალკე მოძრავ საარტილერიო დივიზიონს და გვარდიის მე-8 სანაღმტყორცნო პოლკს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘᲡ** გათავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘᲡ**“ სახელწოდება და ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

ნოვოროსიისკის 318-ე მსროლელი დივიზია,
ნოვოროსიისკის 83-ე წითელდროშოვანი ცალკე საზღვაო მსროლელი ბრიგადა,
ნოვოროსიისკის გვარდიის მე-5 სატანკო ბრიგადა,
ნოვოროსიისკის შინსახკომის ჯარების 290-ე ცალკე მსროლელი პოლკი,
ნოვოროსიისკის 393-ე საზღვაო ქვეითი ჯარის ცალკე ბატალიონი,
ნოვოროსიისკის მე-11 მოიერიშე საავიაციო დივიზია,
ნოვოროსიისკის გვარდიის 88-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკი,
ნოვოროსიისკის 889-ე ღამის მსუბუქ-ბომბდამშენი საავიაციო პოლკი,
ნოვოროსიისკის სატორპედო კატერთა მე-2 ბრიგადა,
ნოვოროსიისკის სადარაჯო კატერთა 1-ლი წითელდროშოვანი დივიზიონი,
ნოვოროსიისკის სადარაჯო კატერთა მე-4 დივიზიონი,
ნოვოროსიისკის 81-ე საჰაუბიცო საარტილერიო პოლკი,
ნოვოროსიისკის გვარდიის 69-ე საარტილერიო პოლკი,
ნოვოროსიისკის 1.169-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკი,
ნოვოროსიისკის გვარდიის 108-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
ნოვოროსიისკის 195-ე სამთო-სასაპალნო-სანაღმტყორცნო პოლკი,
ნოვოროსიისკის გვარდიის 1-ლი ცალკე საარტილერიო დივიზიონი,
ნოვოროსიისკის 251-ე ცალკე მოძრავი საარტილერიო დივიზიონი,
ნოვოროსიისკის გვარდიის მე-8 სანაღმტყორცნო პოლკი.

ირკუტსკის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის ლენინის ორდენოსანი და სამგზის წითელდროშოვანი გვარდიის 55-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც უკვე არაერთგზის ისახელა თავი ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში, წარდგენილ იქნას **ᲡᲣᲕᲝᲠᲝᲕᲘᲡ** მეორე ხარისხის ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 16 სექტემბერს, 20 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი **ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘ**, — ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით. შავი ზღვის ფლოტის გემებმა ამავე დროს სალუტი მისცენ 12 ზალპით იმ ჯარებსა და გემებს, რომლებმაც გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან გაათავისუფლეს შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეორე ბაზა—**ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘ**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑ** თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში ქალაქ **ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘᲡ** განთავისუფლებისათვის.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ
1943 წ. 16 სექტემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲞᲝᲞᲝᲕᲡ

ბრიანსკის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, წარმატებით გადალახეს მდინარე **ᲓᲔᲡᲜᲐ** და ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ერთდროული დარტყმით დღეს, 17 სექტემბერს, გასტეხეს რა მტრის წინააღმდეგობა, დაიკავეს უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტები გერმანელთა თავდაცვისა ამ მდინარის ზღუდეზე, დიდი სამრეწველო ცენტრები—ქალაქები **ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘ** და **ᲑᲔᲟᲘᲪᲐ**.

ქალაქების **ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡᲐ** და **ᲑᲔᲟᲘᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ** ბრძოლებში განადგურებულია გერმანელთა 339-ე, 110-ე, 707-ე, 95-ე, 299-ე, და 134-ე ქვეითი დივიზიები.

ამრიგად, ძნელად მისადგომ ტყიან-ჭაობიან ადგილას მარჯვედ გატარებული შემოვლითი მანევრის შედეგად, ბრიანსკის ფრონტის ჯარებმა მეორეგან გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა მდინარე **ᲓᲔᲡᲜᲐᲖᲔ**.

მდინარე **ᲓᲔᲡᲜᲘᲡ** გადალახვისას და ქალაქების **ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡᲐ** და **ᲑᲔᲟᲘᲪᲘᲡ** დაკავებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ᲤᲔᲓᲘᲣᲜᲘᲜᲡᲙᲘᲡ** ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ᲜᲐᲣᲛᲔᲜᲙᲝᲡ** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

პოდპოლკოვნიკ **ᲐᲑᲐᲨᲔᲕᲘᲡ** 197-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲪᲔᲕᲘᲡ** 323-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲙᲣᲠᲘᲚᲒᲘᲜᲝᲕᲘᲡ** მე-4 მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲤᲐᲚᲘᲣᲑᲘᲜᲘᲡ** 273-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲨᲘᲚᲝᲕᲘᲡ** გვარდიის მე-3 გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲕᲝᲔᲕᲝᲓᲘᲜᲘᲡ** 313-ე ღამის ახლო-ბომბდამშენმა საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲛᲐᲛᲝᲜᲝᲕᲘᲡ** 277-ე საინჟინრო ბატალიონმა, მაიორ **ᲚᲘᲡᲘᲜᲘᲡ** 140-ე საინჟინრო-მესანგრე ბატალიონმა, პოდპოლკოვნიკ **ᲙᲝᲕᲩᲣᲠᲘᲡ** გვარდიის 310-ე სანაღმტყორცნო პოლკმა, მაიორ **ᲫᲐᲠᲘᲫᲘᲡ** გვარდიის 74-ე სანაღმტყორცნო პოლკმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმ შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მდინარე **ᲓᲔᲡᲜᲘᲡ** გადალახვისას და ქალაქების **ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡᲐ** და **ᲑᲔᲟᲘᲪᲘᲡ** განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, მიენიჭოთ სახელწოდება:

„**ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡᲐ**“
197-ე მსროლელ დივიზიას,
323-ე მსროლელ დივიზიას,
გვარდიის მე-3 გამანადგურებელ საავიაციო დივიზიას,
277-ე საინჟინრო ბატალიონს,
140-ე საინჟინრო-მესანგრე ბატალიონს;

„**ᲑᲔᲟᲘᲪᲘᲡᲐ**“
მე-4 მსროლელ დივიზიას,
273-ე მსროლელ დივიზიას,
313-ე ღამის ახლო-ბომბდამშენ საავიაციო დივიზიას,
გვარდიის 310-ე სანაღმტყორცნო პოლკს,
გვარდიის 74-ე სანაღმტყორცნო პოლკს.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:
ბრიანსკის 197-ე მსროლელი დივიზია,
ბრიანსკის 323-ე მსროლელი დივიზია,
ბრიანსკის გვარდიის მე-3 გამანადგურებელი საავიაციო დივიზია,
ბრიანსკის 277-ე საინჟინრო ბატალიონი,
ბრიანსკის 140-ე საინჟინრო-მესანგრე ბატალიონი,
ბეჟიცის მე-4 მსროლელი დივიზია,
ბეჟიცის 273-ე მსროლელი დივიზია,
ბეჟიცის 313-ე ღამის ახლო-ბომბდამშენი საავიაციო დივიზია,
ბეჟიცის გვარდიის 310-ე სანაღმტყორცნო პოლკი,
ბეჟიცის გვარდიის 74-ე სანაღმტყორცნო პოლკი.

მდინარე **ᲓᲔᲡᲜᲘᲡ** წარმატებით გადალახვისათვის არმიის სარდალი, აგრეთვე იმ შენაერთებისა და ნაწილების მეთაურები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, წარდგენილ იქნან **ᲡᲣᲕᲝᲠᲝᲕᲘᲡ** ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 17 სექტემბერს, 21 საათსა და 30 წუთზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც წარმატებით გადალახეს მდინარე **ᲓᲔᲡᲜᲐ** და გაათავისუფლეს ქალაქები **ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘ** და **ᲑᲔᲟᲘᲪᲐ**,—ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑ** თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მდინარე **ᲓᲔᲡᲜᲘᲡ** გადალახვისას და ქალაქების **ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡᲐ** და **ᲑᲔᲟᲘᲪᲘᲡ** განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ
1943 წლის 17 სექტემბერი.

ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲥᲣᲠᲣᲚᲘ

გაზეთის ფურცლიდან, შენობის კედლიდან
თვალს უცებ იტაცებს ბელადის ბრძანება.
მტერს ზარი დაეცა, ცეცხლი წაეკიდა,
მტერს მიაცამტვერებს გმირთა მიძალება.

წინ სწრაფად მიიწევს წითელი არმია,
ზედიზედ იბრუნებს მშობლიურ ქალაქებს.
ფრიცები გარბიან,
ფრიცები გარბიან,
ეხლა მათ ბედიღბალს სიკვდილი განაგებს.

წინ ბევრი ნანგრევი, დამწვარი ხიდია,
სისხლს შეუღებია მდინარე, ველები.
მედგარი ბრძოლებით დნეპრისკენ მიდიან
ვოლგიდან დაძრული მხნე გვარდიელები.

ბელადის ბრძანების ბრწყინვალე ბწკარებში
ჩანს — როგორ იმარჯვებს ლაშქარი, სარდლობა,
ვინც უნდა ალაგმოს მხეცების თარეში
ხალხის აღტაცება, ვაშა და მადლობა.

დღეს ყველას გვეძახის საშველად, სახსნელად
ნაღმით და ყუმბარით დათხრილი მთა-ველი.
ვაჟკაცი ბრძოლაში სტალინს რომ ახსენებს
ხმალს აკამკამებს მარშალის სახელი.

ცა ჩავარსკვლავდება... რუპორქვეშ დადგები,
ეთერშიც სროლის და მუსიკის ხმებია.
გაისმის მოსკოვის ქვემეხთა ბათქები,
აღებულ ქალაქებს ზეიმით ხვდებიან.

მარცხდება მტარვალი ზაფხულს რომ უცდიდა,
გრძელდება შეტევა, მტერზე მიძალება.
შენობის კედლიდან, გაზეთის ფურცლიდან
ყოველდღე გვახარებს ბელადის ბრძანება.

ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲤᲠᲝᲜᲢᲝ ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

7. „ᲓᲘᲓᲘ ᲤᲠᲘᲪᲘ“

ცნობილია, რომ „დიდი ფრიცი“ გერმანიაში მეტსახელად, განდიდების მიზნით, უწოდეს პრუსიის მეფეს, ფრიდრიხ მეორეს, რომელმაც შვიდწლიანი ომი დაიწყო. ეს მეფე, რომელიც გათქმული იყო მტაცებლური სიხარბით და მუხანათობით, ფაშისტმა ისტორიოგრაფებმა სალოცავ ხატად, სათაყვანებელ კერპად აქციეს.

მაგრამ ეს ეპიზოდი მეფე ფრიდრიხს როდი ეხება. მინდა მოგიყვეთ ამბავი სულ სხვა „დიდი ფრიცისა“, რომელიც ერთხანს ჩვენს ესკადრონში „ირიცხებოდა“ და ჩვენს კმაყოფაზე იყო.

სმოლენსკის ოლქში, სუხინიჩისა და კოზელსკის შუა, პატარა სოფელში ესკადრონი ისვენებდა. ამუნიცია და საბრძოლო საჭურველი წესრიგში უნდა მოგვეყვანა. ცხენები თავლებში და ფარდულებში გავანაწილე. განწესება დავხიზნე, და როცა ქოხში ვბრუნდებოდი, მაშინღა შევამჩნიე რომ სოფელს ბოშები შეეხიზნებოდნენ. ძლივს გამოვიცან ისინი. მიტოვებული სოფლის თითქმის ნახევარი დაეჭირათ.

ქოხში კარი შევაღე: ბოშების ერთი ჯგუფი ცეცხლთან თბებოდა. ჩაფიქრებული იჯდა მოხუცი ბოშა. ერთი დედაკაციც რაღაცას ფათურობდა. იქვე იყო ძონძებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მარგალიტივით ჩაწყობილი კბილები და ამდაგვარი ალერსით სავსე შავი თვალები ჰქონდა.

მოხუცმა აიხედა. მივესალმე. ცეცხლთან დავჯექ და თამბაქო შევთავაზე. ხუთი წუთის შემდეგ ნაცნობები ვიყავით, ათი წუთის შემდეგ — მეგობრები.

როცა პურის ჭამას ვიწყებდით, მოვიპატიჟეთ. საწყლები მშივრები იყვნენ. მადიანად შეექცეოდნენ ქონში გაკეთებულ მუხუდოსა და უგრეხელის კონცენტრატების წვნიანსა და ფაფას. ჭიქა არაყმა სულ გაახარა მოხუცი. თავისი წარსული გაიხსენა. ქვეყანაში გასული კაცი იყო. დონის ახლოს დაბადებულა, მერე გაჰყოლია აქედან, ხაბაროვსკში ჩასულა, უვლია მთელი სიცოცხლე, ბოლოს უკრაინაში ამოუყვია თავი, იქ უხეტიალნია. უკანასკნელ წლებში მიწას მოჰკიდებია, ბოშური ცხოვრებისათვის თავი მიუნებებია და კოლმეურნედ გადაქცეულა.

— ახლა კი ისევ ხეტიალი დავიწყეთ — განაგრძობდა მოხუცი, — უკრაინიდან მოვრბივართ, ძლივს დავდგით ფეხი მიწაზე და ისევ აგვყარა გერმანელმა...

მოხუცის სიტყვებში იგრძნობოდა მწვავე გულისტკივილი, იგრძნობოდა ახლად გაღვიძებული ტრფიალება მიწისა, რომელსაც ისე მოჰგლიჯეს, რომ მისი სიყვარულით ჯერ არც კი გამძღარიყო.

მან გვიამბო მძიმე ჭირ-სახდილი თავისი პატარა ტომისა, ის საშინელი უბედურება, რომელიც მას გერმანელებმა მოუტანეს. მტერმა განიზრახა უკრაინაში ბოშების სახსენებელიც კი გაექრო. სპობდნენ ძირით-ძირობამდე, ამბის მთქმელსაც აღარ სტოვებდნენ(ხოცავდნენ მოხეტიალე ბრბოებსაც და დასახლებულ ბოშებსაც. ერთ სოფელში თურმე შეჰყარეს ჯგუფი ბოშებისა: კაცები, ქალები, ბავშვები. მერე სროლა დაუწყეს. ბოშებმა გაქცევა სცადეს. დასდევდნენ მინდორში და ხოცავდნენ. დაჭრილ-დახოცილებით სავსე მინდორზე ცხენოსნები გადაატარეს — სადღაც მიდიოდნენ და არცკი მოერიდნენ, განზრახ გადათქერეს. როგორც კი მოედო ეს ამბავი ახლო მიდამოებს, ისევ აიყარნენ ბოშები. ვინ იცის რამდენი საუკუნის ხეტიალის შემდეგ ძლივს დასახლდნენ და ახლა ისევ იძულებულნი იყვნენ ძველებურად, ქვეყნიდან ქვეყნად წანწალს დაჰბრუნებოდნენ. მაგრამ განა ბევრმაღა გამოაღწია იმ ცეცხლსა და ვაებას? რისთვის, რას ერჩოდნენ ამ პატარა ხალხს?!

მოხუცმა ბოშამ განაგრძო.

— ჩვენც ვებრძვით გერმანელებს, ჩემი შვილი ლეიტენანტია, ფრონტზეა, ლეიტენანტი ალექსანდრე ბარილოვი, — გაიმეორა მან ამაყად — მერე უფრო ახლოს მოიწია, და ხმადაბლა, იმ ტონით, როგორც სთხოვენ ხოლმე თანამოსაუბრეს, პაპიროსი მომაწოდეო, — მითხრა:

— ლეიტენანტო! ერთი ცხენი მაჩუქე...

ჯერ მეგონა სმენამ მომატყუა მეთქი, გავამეორებინე, მერე ვუთხარი:

— არა მოხუცო, ეს არ შეიძლება! რომელი მეჯოგე მნახე, შე კაი კაცო, სადღა მყავს გასაჩუქებელი ცხენები?!

სერჟანტმა, ტომით ყარაჩაელმა გაგუევმა მითხრა:

— მოდი „დიდი ფრიცი“ ვაჩუქოთ.

ერთი ნადავლი გერმანული საარტილერიო ცხენი გვყავდა. გერმანელებმა გაქცევისას წაყვანა ვერ მოასწრეს და მიატოვეს. ისეთი უზარმაზარი იყო, ეშმაკიც ვერ მოახერხებდა მასზე შეჯდომას. კიბე უნდა მიგედგა, რომ მის ზურგზე ასულიყავ. ჩვენი ცხენები იმასთან საბავშვო სათამაშოებსა ჰგვანდნენ ვერაფერში გამოიყენეს ბიჭებმა, ვერც შებმა მოახერხეს, იმის ზომის ხამუტი ვერ იშოვეს; იმის ფლოქვის ზომის ნალიც არ იყო და საწყალი „ფეხშიშველი“ დაიარებოდა. კავალერიის დაუწერელი კანონის მიხედვით სახელიც უნდა ჰქონოდა. რაკი ასეთი ვეებერთელა იყო, და თანაც გერმანული, ბიჭებმა „დიდი ფრიცი“ უწოდეს, სიამიაც ამ სახელით ჩასწერეს. ამ ბიჭებს მეფე ფრიდრიხი გაგონილიც არა ჰქონდათ და ცხადია ვერცა ხვდებოდნენ ვის ძვლებს აშფოთებდნენ საფლავში.

ახლა „დიდი ფრიცის“ თავიდან მოშორება უნდოდათ, სერჟანტმაც ეს გამახსენა.

— კარგი გაჩუქებ მეთქი, — ვუთხარი მოხუცს. მერე წამოვდექი. თავლისაკენ გავემართე. ბოშები და ჩემი ბიჭები თან წამომყვნენ, სერჟანტი თავლაში შევიდა, ცხენს აღვირში ხელი მოჰკიდა, გამოსწია, მისი უდიდებულესობა კარებში ვერ გამოეტია, კამეჩივით განიერი ფერდები ფიცრის ზღუდეს წამოსდო და ხმაურით წააქცია, მერე ამ ფიცარზე ფლოქვი რომ დაადგინა, ფიცარმა დაიჭრაჭუნა და ჩაიმტვრა.

მოხუცმა ბოშამ ჯერ იჭვნეულად გადმომხედა, მერე ეშმაკურად ჩაიცინა, სერჟანტს აღვირი საჩქაროდ ჩამოართვა — თითქოს ეშინია ამაზეც უარი არ მითხრანო. გაატარა ცხენი ეზოში, ჯაგარივით სქელ ფაფარზე ალერსით ხელი გადაუსვა, მერე მობრუნდა და მადლობა გადაგვიხადა.

ასე წაიშალა ესკადრონის ცხენების სიაში სახელი „დიდი ფრიცისა“.

8. ᲝᲤᲘᲪᲠᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ

ორმოცდაორი წლის იანვარი იყო. მოსკოვ-ვარშავის გზატკეცილთან გვარდიის ცხენოსანმა დივიზიებმა გერმანელების ფრონტი გაარღვიეს.

გზატკეცილის მიდამოები, ტყე, სოფლები ჯარით აივსო. გააფთრებული ბრძოლები დაიწყო.

აი ამ ყოფაში ვიყავით, როცა ჩემს ოცეულს გზატკეცილის ახლოს პოლკის ზურგის დაცვა დაავალეს. ტყე უნდა ჩაგვეკეტნა, მეავტომატეთა თავდასხმანი მოგვეგერიებინა. თავდაცვისათვის ადგილი შევიგულე, ბიჭებს მარჯვე სანგრები ამოვუჩიე. მათი სადარაჯოები ნახევარწრედ იყო განლაგებული. თითქმის ყველას ვხედავდი. მარცხნივ, გზის ახლოს ორი უკრაინელი იდგა, ისინი ერთიმეორეს არასოდეს არ შორდებოდნენ. იმათ აქეთ სიმონ ბექაური ჩასაფრდა, — მოხათგვერდელი ბიჭი, მის ახლოს სამსონ კონწლიაშვილი; ორი რუსი მებრძოლი მარჯვენა მხარეს იდგნენ. სხვები ჩემთან იყვნენ.

უცებ მარცხენა მხარეზე სროლა დაიწყო. მტრის მეავტომატენი მოახლოვებულიყვნენ. ცეცხლი გახსნეს; რომელიღაც მებრძოლის ნასროლმა ტყვიამ ერთი მეავტომატე მაშინვე წააქცია, მძიმედ დასჭრა. მალე მეორეც დაეცა. ამის შემდეგ ფრიცებმა უკანდახევა იკადრეს, თავისი დაჭრილები წაათრიეს და ისევ სიწყნარე ჩამოვარდა.

მართალი სთქვას კაცმა, ძალიან დაქანცულები და უძილონი ვიყავით, წამოწოლას ვინ სჩივის, ხეზე მიყრდნობისაც მეშინოდა, არ დამეძინოს მეთქი. ექვსი დღე-ღამე ფეხზე ვიდექით, მეავტომატენი რომ დაგვესხნენ—აი მაშინ სადღაც გაჰქრა ის მოთენთილობა. ახლა კი ისევ სიწყნარე იყო, ისევ რაღაც მოდუნება უნებურად ედებოდა კაცს. მაინც მაგრობენ ბიჭები, განა არ იციან რომ როცა ბრძოლაა, მაშინ ნამდვილმა სალდათმა უნდა დაივიწყოს, რომ ამ ქვეყნად ადამიანები იღლებიან. არის რაღაც გამოუთქმელი და მარად ცოცხალი სამშობლოს სიყვარულში, რომელიც ძილზეც და სიკვდილზეც მაღლა დაგაყენებს. ერთს არ ამოუღია ხმა, არ უკითხია — როდის შეგვცვლიანო.

წინ ხეებში ესკადრონის ზემდეგი ნოვოკშიონოვის ნაცნობი ფიგურა გამოჩნდა. ის ფრონტზე იმყოფებოდა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა პოლკი იბრძოდა ბუგზე, დნეპრზე, ვოზნესენსკთან და ნიკოპოლთან. რა გასაკვირველია რომ ზემდეგი ახალ—უხლებზე უფრო მეტად გამოცდილი იყო.

ნოვოკშიონოვს თან მხოლოდ ერთი მებრძოლი მისდევდა. პროდუქტები მოიტანეს. შესახვედრად გავემართე, როცა მოუახლოვდით მას უკვე ცალმუხლზე წამოეჩოქნა, სავსე ჩანთაში ფათურობდა, რუკას იღებდა და თან მეუბნებოდა:

— ძლივს გამოვეხწიე... მხარი მექცა, ამ ტევრში, სულ ცოტაც და აი იმ სოფელს მივეღწეოდი, ეშმაკმა დასწყევლოს, მგონი სტრელენკი ჰქვია, რუკაზე მინდა შევამოწმო, ფრიცების პატრულმა მესროლა. ჰო, მართლა, რა უნდა გითხრათ კიდევ ბიჭებო, დღეს ვერ შეგცვლით, უნდა გაუძლოთ, რას იზამთ, ცხარე დღეებია.

სადღაც ტევრის სიღრმეში ცხენმა დაიფრუტუნა. მერე ახლოს ფლოქების ხმაც მოისმა. ზემდეგმა ჩანთას თავი მიანება, აიხედა და მოახლოვებულ ცხენოსანს მიაჩერდა. ახლად მოსულს კაპიტანის ფორმა ეცვა. მე მას პირველად ვხედავდი: კაპიტანმა ცხენი შეაყენა და იკითხა: ვინ არის აქ მეთაური?

მერე პასუხს არც კი მოუცადა, ზედვე მოგვახალა:

— ეხლავე ბიჭებს თავი მოუყარეთ. კორპუსის შტაბის ბრძანებით თქვენი პოლკი — და ჩვენი პოლკის ნომერი ზუსტად დაასახელა — დღეს დაისვენებს... მტერმა უკან დაიხია და საშიშროება აღარ არის... პოლკი სტრელენკში მოიყრის თავს, თქვენს ცხენებსაც იქ მოიყვანენ... წამომყევით...

კაპიტანმა როცა დაინახა, რომ მის სიტყვებზე ბიჭები აჩოჩქოლდნენ, შეჯგუფდნენ, ღიმილით დაუმატა:

— კარგად გამოძინებას მოასწრებთ... იქნება ზოგმა ბანაობაც მოახერხოს და გამოიმშუშოს...

ნოვოკშიონოვმა იჭვნეულად შეანათა მას თვალები, მერე წამოხტა, გამოეჯგიმა, თან ისევ თითქოს თვალებითა სჭამდა.

— მერე და სტრელენკი ვის ხელშია ამხანაგო კაპიტანო!

კაპიტანმა მის თვალებს ვერ გაუძლო, შეცბა, აირია, მაგრამ მაინც მტკიცედ სთქვა: ჩვენს ხელშიაო, მერე — მომყევითო, და იმის ნაცვლად რომ მოეცადა, ვიდრე ოცეული თავს მოიყრიდა, ცხენი მოირიჯა და კვლავ სტრელენკის მხარეს მიაბრუნა. ჩქარობდა, წასვლას ეპირებოდა. ახლა მას სიდინჯის ნატამალიც არ ეტყობოდა. როცა მიხვდა ეჭვი მოიტანეს ჩემზედაო, სახეზე მკვდრის ფერი დაედო, ათრთოლდა თითქო ციებამ მოუარაო. ნოვოკშიონოვი წინ გადაუხტა, სადავეს ხელი უტაცა. კაპიტანმა მისი გადათქერა მოინდომა, ცხენი ზედ მიაგდო, რათა ჩამოეშორებინა ეს კაცი თავისი გზიდან. ნოვოკშიონოვი მოერიდა ცხენს, იმავე წამს რევოლვერი გაიძრო და კაპიტანს სამჯერ ესროლა.

ცხენი დაფრთხა, ჯერ ოთხივე ფეხით მოსწყდა მიწას, მერე დაეშვა, წინა ფეხები მაგრად დაარტყა თოვლში, და მხედარი დაბლა დაანარცხა. დაჭრილმა რაღაც გაუგებრად ამოიგმინა, მერე სასიკვდილო კრუნჩხვაში ფარაჯის საყელოს მაგრად მისწვდა, მოიგლიჯა და სისხლმა თოვლზე ითქრიალა.

ნოვოკშიონოვმა ფარაჯა უფრო ფართოდ გადაუწია. მოკლულს ფარაჯის ქვეშ გერმანელი ოფიცრის სვასტიკის ნიშნიანი ფრენჩი ეცვა.

ახლა ყველაფერი ნათელი იყო. მახეში შეტყუება უნდოდათ...

ნოვოკშიონოვმა თავი აიღო, გადმოგვხედა და სთქვა:

— კარგად კი გამოიძინებდით ბიჭებო, ამ ქეციან ძაღლს რომ წაეყვანეთ! განკითხვის დღემდე აღარავინ გაგაღვიძებდათ... ნამდვილ სისხლიან, ბერლინურ აბანოს გაგიმართავდნენ!

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ იქნენ შემდეგი მწერლები: ა. დოვჟენკო, ა. კორნეიჩუკი, ი. ლე, ლ. პერვომაისკი და ვ. სოსიურა. წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულნი იქნენ შემდეგი მწერლები: ა. გოლოვკო, კ. გორდიენკო, ე. კირილუკი, პ. კოზლანიუკი, ვ. კუჩერი, ა. მალიშკო, ლ. ნოვიჩენკო, პ. უსენკო და ს. შიიანი.

ჩაუთქვა

ვიქტორ გაბესკირია

მას ნაწნავებით აევსო კალთა,
ხის ქვეშ ზის მშვიდათ და განაბულა
მას გვერდით უდევს თოხი, კალათა,
სჩანს, რომ ყანიდან დაბრუნებულა.

ის ფიქრებს თითქოს არ შეუშინდა,
მოტეხა ხის შტო, დაჰყურებს ნდობით.
იგი ორ სიტყვას ბუტბუტებს მშვიდათ
და აცლის ფოთლებს შტოს, რიგ-რიგობით.

მოულოდნელათ გრძნობს გული უცემს
(თუმცა ჯერ მზე სჩანს და საღამოა,)
რადგანაც იგრძნო, რომ შერჩა უცებ!
მას ფოთოლი და სიტყვა: „ჩამოვა!“.

ჭაბუკი ჩემი ქალაქიდან

მარიკა მიქელაძე

მამაც მზვერავს აკაკი ხუჯაძეს

გიცანი, ჩვენი ვაჟი ხარ
იმერი ბიჭი ხუჯაძე,
შენი ყრმობაც თუ დაირხა
ჩემი ბავშვობის ქუჩაზე,
სად ალვებია მახვილი,
სიმწვანე ფეთქავს ხალისად,
და ისმის გადაძახილი
ბაღჩაში ჩამდგარ ქალისა,
ლურჯი ქარების ხანძარი,
ნარინჯის ფერი აისი...
დგას ბაგრატოვანთ ტაძარი
უშფოთველ სიდარბაისლით.
ჩემი ქალაქი პატარა
ეხლა გაივსო, ადიდდა,—
კალთით რომ შვილნი ატარა,
ექვსი გმირია ათიდან.
შენც მოგდევს მისი სურნელი
სამაისო და სავარდო,—
დუშმანის სისხლის მსურველი,
ჭაბუკ ვეფხვივით ნავარდობ.
გონების თვალით გიცქერი,
ველზე ვით შვენი ჩაუქი,
როგორ დალეწე ფრიცები,
ბლინდაჟში როგორ ჩაუხტი,
ქართული შუქით იელვე
ქართული რისხვით იალე
და მზაკვარ გადამთიელებს
სიცოცხლე გაუტიალე!
ეს ერთი და სხვა ათასი
იმერთ ჭაბუკო ხუჯაძე!
შენი ბავშვობა ხალასი
რბოდა ჩემს მწვანე ქუჩაზე.
ბაგრატის ციხეს ჭალარას
ვით სჭვრეტდი,—გემახსოვრება,
მის ჩრდილში ტანი აყარა
შენმა ნათელმა ცხოვრებამ,
მან შთაგაგონა:—იცოდე,
არც დაივიწყო აროდეს:
სამშობლოს დარდით იწოდე,
მის სახელს კელაპტარობდე.
და ბრძოლის სიმწუხარეში
დახრილი უცნობ მიწამდე,
ყუბანის მრუმე ღამეშიც
შენს მწვანე ქალაქს იცავდე!
მისი კედლების გრეხილი
ბრძოლაში შენს წინ იელვებს
და მიეჭრები ვეფხივით
მტრად მოსულ გადამთიელებს.
სისხლის წილ სისხლი ანამე,
ცეცხლის წილ მიეც ხანძარი
დიდ საბჭოეთის ალამით
ქართული გრძნება დასძარი!
დგას ქუთაისი სავარდე,
შრიალებს ცისფერ ქარებად,
ვეფხვო შეგერგოს ნავარდი
სამშობლოს გასახარელად!

◆

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის 1943-44 წლის სეზონი გაიხსნა 1 სექტემბერს ლ. გოთუას პიესით „მეფე ერეკლე“.

თეატრს მიმდინარე სეზონში განზრახული აქვს დასდგას ექვსი ახალი პრემიერა. პირველად ამ სეზონში მიდის ლ. გოთუას ისტორიული პიესა „დავით აღმაშენებელი“. პიესა ასახავს ქართველი ხალხის წარსულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, პიესის სიუჟეტი ეხება დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ ხანებს, პიესას სდგამს რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი, მუსიკას სწერს კომპოზიტორი ა. კერესელიძე, გაფორმება ეკუთვნის ახალგაზრდა მხატვრებს სუმბათაშვილსა და ლაფიაშვილს. სპექტაკლი ნაჩვენები იქნება ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

მეორე პრემიერად მიდის შექსპირის კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება“. პიესას სდგამს თეატრის ხელმძღვანელი შ. ღამბაშიძე. ასისტენტად არის ელენე დონაური. მხატვრობა ეკუთვნის ირ. შტემბერგს მუსიკას სწერს კ. მეღვინეთუხუცესი.

ამ წლის დამლევს განხორციელებული იქნება აგრეთვე მესამე ახალი დადგმა—კ. სიმონოვის პიესა „დამელოდევი“. პიესას სდგამს ვ. ყუშიტაშვილი, თარგმანი ეკუთვნის ი. გრიშაშვილს.

სეზონის მეორე ნახევარში წავა ი. ვაკელის ისტორიული პიესა „თამარ მეფე“. პიესა ასახავს საქართველოს აღორძინების ხანას და გვიჩვენებს წარსულის გმირულ ამბებს.

სეზონის მეორე ნახევარშივე დაიდგმება მ. ჯაფარიძის კომედია „ჟამთაბერის ასული“ და ვ. გაბესკირიას თანამედროვე პიესა ინტელიგენციის ცხოვრებიდან.

ახალი დადგმების გარდა, აღდგენილი იქნება შემდეგი პიესები: „მეფე ერეკლე“, „ეჭვით ავადმყოფი“, „მარგარიტა გოტიე“, „მეჯლანუაშვილი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ურიელ აკოსტა“.

ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ

პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი

სამშობლო მიწა-წყლის დასაცავად წარმოებულ ომებში თვითეული ხალხის გამარჯვების საწინდარსა და გარანტიას არა მხოლოდ მისი ერთგული შვილების სიმხნე და სიმამაცე შეადგენს ტექნიკის მომარჯვებასთან ერთად, არამედ ერთსულოვანი და შეთანხმებული მოქმედებანი და სოლიდარობა მეზობელ ხალხებთან. ამ გარემოებას ითვალისწინებს მე-5 საუკუნის სომეხთა ისტორიკოსი ეღიშე (ელისე) შემდეგ სიტყვებში:

სოლიდარობა სიკეთის დედაა,
უთანხმოება სიბოროტის მშობელი.

საქართველოს საბჭოთა სომეხ მწერლების ჯგუფი თავის „მიძღვნაში—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის გამო“, ლაპარაკობდა რა სომეხთა და ქართველთა საუკუნოებრივი შეიარაღებული თანამოქმედების შესახებ, სხვათაშორის, აღნიშნავდა:

ათეულ წლის მანძილზე ძმობის გვფენდა ნათელი,
მუდამ ერთად ვიბრძოდით—სომეხი და ქართველი.
ერთად დაგვირბევია მტერი აღჭურვებული—
და ვყოფილვართ გულადნი, მხნე და გამარჯვებული.
ქართლოსი და ჰაიოს ერთად ბრძოდნენ შუბებით
და ლაღობდნენ ზეიმით, მტრების განადგურებით.
უძლეველნი ვყოფილვართ, არგამტეხი ფიცისა,
მოტრფიალე, ერთგულნი მშობლიური მიწისა.
ჩვენგან დამარცხებულა ბევრი მტერი ვერანი,
ჩვენს მახვილზე აცმულა მათი გულის ძვერანი.
მასისიდან ყაზბეგამდე ხმლებითა და დაშნებით
ჰქროდნენ გამარჯვებულნი წინაპრები რაშებით.
აქვე დამკვიდრებულან დიდ ქართლოსის შვილები,
ზღვიდან ზღვამდე გმირულად ომში გამოზრდილები:
გულამაყნი, ზვიადნი, ჩაჩქანით და ფარებით,
და იქ უშენებიათ სოფლები და ზვარები.

ამიერკავკასიის ტომთა და, შემდეგში, ხალხთა ურთიერთძმური დამოკიდებულება და გაერთიანებული ძალით ბრძოლა უცხოელ დამპყრობლებთან სამშობლოს კეთილდღეობისათვის საისტორიო წყაროებში აღბეჭდილია ჯერ კიდევ VI–IV საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრისხანე დარიუსისა და ალექსანდრე მაკედონელის ურდოების წინააღმდეგ.

პირველი სერიოზული იერიში ა.-კ. ხალხთა მიმართ უცხოელმა დამპყრობლებმა მიიტანეს I საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც ამ ხალხებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ თავისი სახელმწიფო სულ ცოტა 4 ერთეულად: ესენი იყო სამხრეთში—არმენია ანუ სომხეთი, აღმოსავლეთში—ალბანია, შემდეგში არანი ანუ რანი (აწინდელი აზერბაიჯანი), შუაში—იბერია ანუ ქართლი, და დასავლეთში — კოლხიდა, შემდეგში ეგრისი ანუ ლაზიკა.

სომხებზე, ალბანებზე და ქართლელ-კოლხებზე თავდამსხმელებად გამოჩნდნენ აწინდელი იტალიელების შორეული წინაპრები, რომლებიც პომპეუსის წინამძღოლობით 65 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეიჭრნენ ჯერ არმენიაში, შემდეგ ალბანიაში, დაბოლოს იბერიასა და კოლხიდაში, საიდანაც უკვე გაიმართნენ პონტოს სამეფოზე, სადაც მათი დაუძინებელი მტერი მითრიდატ ევპატორი მეფობდა. ა.-კ. ხალხთა და პონტოელთა ერთსულოვანმა გამოსვლებმა დიდი ზიანი მიაყენეს რომაელ ურდოებს და დაიცვეს სამშობლო განადგურებისაგან, არმენია - სომხეთში რომაელებს ებრძოდნენ სომხები მეფე ტიგრანის მეთაურობით, ალბანიაში ადგილობრივ ჯარს ხელმძღვანელობდნენ მეფისწული ოროიზესი და კოზისი, ხოლო იბერია-ქართლში მეფე არტაგი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დასავლეთ საქართველოს ტომთა შეუპოვარი ბრძოლა რომაელების წინააღმდეგ 69–79 წ. წ., როდესაც ერთერთმა კოლხელმა, მონად ყოფილმა, სახელად ანიკეტ, შეაკავშირა რა კოლხიდის ტომები, გამოიყვანა ისინი რომაელების წინააღმდეგ.

III საუკუნიდან იწყება ქართველ, სომეხ და ალბანელ ხალხთა ერთსულოვანი გამოსვლები და ბრძოლა სასანიან სპარსეთის წინააღმდეგ. კერძოდ, სომხეთში ამ დროიდან სახელი განითქვა მამიკონიანთა საგვარეულომ, რომლის არაერთმა წარმომადგენელმა შესწირა თავი სამშობლოს ინტერესებს. ამ საგვარეულოდან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ვასაკი, IV საუკუნეში. იგი იყო თანამედროვე სპარსთა მეფის შაპურისა, რომელსაც ისე არ ელაპარაკებოდა, თუ არა სომხეთიდან სპარსეთში წაღებულ და შაჰის კარავში დაგებულ სამშობლო მიწაზე მდგომი, რათა ძნელად და თამამად ეგრძნო თავი, ვითარცა მშობლიურ მიწაწყალზე დამოკიდებული. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ვასაკი უკანასკნელად მიიყვანეს შაჰ-შაპურთან და მან მოისმინა მეფის მუქარა: „მელავ! ოცდაათი წელიწადია, რაც ზიანს მიყენებ, მელიას სიკვდილით დაგსჯი შენ“-ო, პასუხად ასე თქვა: „შენ, მეფევ, ჩემში მხოლოდ პატარა ტანის ტყვეს ხედავ. მე შენ ოდესღაც ლომად გეგულებოდი, ახლა კი მელად გადავიქეცი? როდესაც ვასაკი ვიყავ, გმირად მთვლიდი. ერთი ფეხი ერთ მთაზე მქონდა გაშვერილი, მეორე კი მეორეზე. როდესაც მარჯვენა ფეხს დავეყრდნობოდი, მარჯვენა მთა ჩამოინგრეოდა; ხოლო როდესაც მარცხენას დავეყრდნობოდი, მარცხენა მთა ჩამოინგრეოდა“. შაჰის კითხვაზე „ვინ არიან ეგ მთები, რომ შენს ფეხქვეშ ითელებიან და ინგრევიან“-ო, ვასაკმა უპასუხა: „ერთი მათგანი იყავ შენ, მეორე კი ბერძენთა მეფე“. ასეთმა კადნიერმა პასუხმა გააბრაზა შაჰი, რომელმაც სიკვდილით დასაჯა ვასაკი.

ვარდან მამიკონიანის სახელთან დაკავშირებულია სომეხი ხალხის სამკვდრო—სასიცოცხლო ბრძოლა სპარსეთის წინააღმდეგ 451 წელს, როდესაც ავარაირის ველზე მდ. ტღმუტის მარჯვენა ნაპირზე (აწინდელ ჩრდილო სპარსეთში) 1036 მეომარმა გასწირა თავი სამშობლოსათვის.

451 წლის აჯანყება ერთგვარ სიგნალად გადაიქცა სომეხთა მეორე გამოსვლისათვის სასანიან სპარსეთის წინააღმდეგ სრული 30 წლის შემდეგ, როდესაც სომეხ მოაჯანყეთ მეთაურობდა ვარდან მამიკონიანის ძმისწული ვაჰან მამიკონიანი, ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასალის მოკავშირე.

როგორც სომეხი ისტორიკოსები და, კერძოდ, ლაზარე ფარპელი გადმოგვცემენ, აჯანყებას ადგილი ჰქონდა სპარსეთის მეფის პეროზის მეფობის მე-25 ინდიქტიონს, მაშასადამე 481 წელს, როდესაც ვახტანგ გორგასალმა ვაზგენ პიტიახში მოკლა. სწორედ მაშინ მოხდა, რომ სომეხთა ქვეყნის კაცები იმედს ამყარებდნენ რა ვახტანგზე, ამბობდნენ: „ქართველთა ვახტანგ მეფე მხნე არის. ვინ იცის, ეგების ქართველებთან ერთად შევძლოთ ცოტად მაინც დავქანცოთ სპარსელები“-ო. შემდეგ აღნიშნულია სომეხ და ქართველ ჯართა შეხვედრა ქართლის საზღვართან მდებარე სომხეთის მთებში—ჭანგარაში (აწინდელ ყაზახ-შამშადილოში), საიდანაც მათ სპარსელები გააქციეს მდ. მტკვრის გაღმა მხარეზე, ხოლო სპარსელ დიდებულთა უმრავლესობა ადგილზევე ამოწყვეტილ იქნა.

ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით გამოსული სომეხ-ქართველთა გაერთიანებული ჯარი 3 ფრთისაგან შესდგებოდა. მარჯვენა ფრთას წინ მიუძღვოდა ბარშილ (ბასილ) ვაჰუნი და სატონ (სადუნ) გაბელიანი, შუა ფრთას — თვით ვარდანი, არშავირის ძენი და გნთუნი, ხოლო მარცხენა ფრთას — ვახტანგ გორგასალი. გარდა ამისა, თვის და ბარშილს (ბასილ) შორის ვაჰანმა საჰაკ ასპეტი და ბაბგენ სიუნი დააყენა.

სომეხ-ქართველთა გაერთიანებულმა ჯარმა დიდი ზიანი მიაყენა სასანიან სპარსეთს, იმდენად, რომ სპარსეთი დათმობაზე წავიდა და ვაჰან მამიკონიანი სომხეთის მარზპანად იქნა აღიარებული.

ასევე იბრძოდა სასანიან სპარსეთის წინააღმდეგ არაბთა ბატონობის დამყარებამდე ალბანია—არანში ადგილობრივი მთავარი ჯუანშერი, რომლის შესახებ ელეგიაც კი არის შეთხზული ძველ სომხურ ენაზე, შემონახული VII ს. სომეხ-ალბანური ისტორიკოსის მოსე კალანკატუელის მიერ.

არაბთა ბატონობის ხანაში, VII—X საუკუნეებში, როგორც სომხეთი, ისე ალბანია—არანი და აღმოსავლეთ საქართველო განუწყვეტელ წინააღმდეგობას უწევდნენ არაბთა ურდოების წინააღმდეგ. ადგილობრივ სამხედრო ძალას მეთაურობდა მთელი წყება სამშობლოს ერთგულ მხედართმთავართა, რომელთაგან მრავალი შეეწირა კიდეც სამშობლოს დაცვის საქმეს საბრძოლო ველზე. ასეთები იყვნენ: სომხეთში—თეოდოროს რშტუნი (7 ს.), არტავაზდ და მუშელ მამიკონიანები (8 ს.), იოანე ხუთაელი (9 ს.), სუმბატ აღმსაარებელი (10 ს.); საქართველოში — დავით და კონსტანტინე არგვეთელები (7 ს.), აბო თბილელი (8 ს.); კონსტანტი-კახი და საჰაკ ამირა (9 ს.), ხოლო ალბანია-არანში— ბაბეკი (9 ს.).

სომეხ, ქართველ და ალბანელ-არანელ ხალხთა მეომრების ერთსულოვანი გამოსვლებისა და ინტერვენტებთან ბრძოლის ამსახველია, სხვათა შორის, სომხური ხალხური ეპოსი „დავით სასუნელი“, სადაც ხალხთა სოლიდარობის იდეა გამოხატულია დავითისადმი მიძღვნილ სტრიქონებში:

ადგა შეკაზმა ქურკიკ-ჯალალი
შეჯდა, გაჰქუსლა, გაიჭრა ქარად,
და სათითაოდ ორმოცი გმირი
ორმოც მხარეში მონახა ჩქარა.
წაუძღვა იმათ გურჯისტანისკენ...
მერე იქიდან აზერბაიჯანს
მიდის დავითი, მოავლო თვალი...

სომეხ ისტორიკოსის მათე ურჰაელის ანუ ედესელის (12 ს.) მოწმობით, დავით აღმაშენებლის გარშემო, რომელიც „სომეხთა ხალხის მფარველად და მოყვარედ აღმოჩნდა“, ლორესა და ანისის აღების (1123 წ.) შემდეგ „შემოიკრიბა სომეხთა მხედრობის ნამსხვრევები“, რის გამოც „დიდ სიხარულსა და აღფრთოვანებაში იყო სომეხთა მთელი ხალხი“.

გიორგი III-ის და თამარის მეფობის სიამაყეს წარმოადგენდნენ, როგორც ცნობილია, სარგის ამირსპასალარი და ძენი მისნი—ზაქარია და ივანე მხარგრძელნი, რომლებმაც თავიანთი ნიჭიერი მთავარსარდლობით სომეხ-ქართველთა სამხედრო ძალების გამარჯვებათა შედეგად გაანთავისუფლეს თურქ-სელჯუკთა და ბიზანტიელთა მონობისაგან მრავალი ქვეყნები, დაწყებული შაქი-შირვანიდან და არცახიდან (ბარის ყარაბაღი) ქვემო ბასიანამდე და ბარკუშატიდან მოყოლებული ლორემდე.

ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ მხარგრძელებს „სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარებს“ უწოდებდნენ.

ასევე შეთანხმებულად იბრძოდნენ სომხები, ქართველები და არანელები ჯერ მონღოლთა ბატონობის. კერძოდ მათი ყაენებისა და ნოინების წინააღმდეგ (13–14 ს. ს.), შემდეგ კი ყარაყოინლუ (შავი ბატკნის) და აღყოიუნლუ (თეთრი ბატკნის) თურქმენთა ტომების წინააღმდეგ (14–15 ს. ს.).

ჩრდილო-სომხეთის იმდროინდელი დედაქალაქ ანისის ბედიგბალზე საუბრისას აკაკი წერეთელი თავის პოემა „ნათელა-ში“, სხვათა შორის, ეხება ნოინების დროინდელ ამბებს შემდეგ სტროფებში:

ვინ მოსთვლის, ჰოი რამდენი
უნახავს ანის ქალაქსა!..
სისხლით მორწყული არ იყო,
ვერ ნახავ მტკაველ ალაგსა!
ყოველი მტერი ძველთაგან
ამ კუთხეს მოაწვებოდა,
მკვიდრი, დამხვდური მამაცად,
თავგამოდებით წყდებოდა.
დღეს ერთი იყო, ხვალ სულ სხვა:
მტერი მტერს ენაცვლებოდა!..
ურდო ურდოზე მოსული
არვისგან დაითვლებოდა.
მაგრამ ქალაქი ტანჯული,
განსაცდელს უმაგრდებოდა,
და ვით ამირანს გულ-მკერდი,
წყლული კვლავ უმთელდებოდა!..

არაერთი შეთანხმებული გამოსვლა წილად ხვდომიათ სომხებსა და ქართველებს აგრეთვე ოსმალთა და სეფევიან სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ XV—XVIII საუკუნეებში, რომლის ფონზე მოსჩანს პორტრეტები დიდ მოურავ გიორგი სააკაძისა საქართველოში, ქოროღლისა ადრიბეჯან-აზერბაიჯანს, სომხეთს, სპარსეთსა და ოსმალეთში, და დავით-ბეგისა სივნიეთ-ყარაბაღში. კერძოდ, დავით-ბეგი, სომხურ ზეპირ გადმოცემათა თანახმად, რომლებიც ჯეროვნად შესწავლილი და გამოქვეყნებულია გულამირიანისა და რაფის მიერ, გამოიყურება როგორც უდიდესი გმირი, აღზრდილი საქართველოში, ვითარცა მეომარი ვახტანგ VI ჯარში, რომელიც შემდეგში სამშობლოში ბრუნდება და თავის ამხანაგ სტეფანოს შაჰუმიანთან ერთად მიზნად ისახავს გაანთავისუფლოს იგი უცხოელთა (სპარსთა და ოსმალთა) მონობისაგან. იგი კავშირს აბამს, ერთი მხრით, ვახტანგ მეფესთან, და მეორე მხრით, რუსეთის იმპერატორ პეტრე I-თან, რომელთა დახმარებით ცდილობს მოიპოვოს დამოუკიდებლობა. იგი თითქოს აღწევს მიზანს 1722 წელს და მთელი 6 წლის განმავლობაში მტრების მიერ გარშემორტყმული უძლებს მათ, სანამ 1728 წელს არ შეეწირა თავისი სამშობლოს განთავისუფლების დიად იდეას.

საქართველოს სომხები ერთგულ ქვეშევრდომებად და მოკავშირეებად გამოდიან მეფე ირაკლი II-ის აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ 1795 წ. თბილისზე თავდასხმის დროსაც. ამიტომაც სრულიად გასაგებია, როდესაც თბილისის მოოხრების აღმწერელნი—ქართველი ისტორიკოსები, სათითაოდ იხსენიებენ რა სპარსელების მიერ მოკლულ პირთა სახელებს, დასძენენ: „და სხვანიცა მრავალნი კაცნი და დედაკაცნი, ვითარცა ქართველნი, ეგრეთვე სომეხნიცა“. მათ შორის იხსენება აღალო ტერ-მინასოვიჩი.

იოანე ბატონიშვილი თავის ნარკვევში „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, რომელიც „კალმასობის“ შემავალ ნაწილს შეადგენს, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ პაატა ანდრონიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ მეფე ირაკლი მეორემ თოფჩიბაშად დანიშნა „გაბრიელ სომეხი“, რომელმაც „კარგად იცოდა არტელარია და ესე ძმითურთ თვისით მეფისა ირაკლისა წინაშე დაიხოცნენ აღამაჰმად-ხანის ბრძოლასა შინა“.

1812 წლის სამამულო ომში რუსის ჯარში მრავლად მონაწილეობდნენ ქართველები და სომხები.

აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე გენერალი მადათოვი მონაწილეობდა იმ ბრძოლაში, რომელშიც გენერალ ბაგრატიონმა სასტიკად დაამარცხა ხოსროვ-ფაშას კორპუსი.

დღეს, სამამულო ომის ვითარებაში საბჭოთა ხალხების შეთანხმებული, შეერთებული ბრძოლა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ უფრო მტკიცე და ურყევია. რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და მრავალი სხვა ეროვნების შვილი დაუზოგველად სპობს ვერაგ მტერს.

ზურგის მძიმეები

შალვა დადიანი

2. სოფელი

ამჟამად ქვემო იმერეთზე მოგახსენებთ.

კარგია ქვემო იმერეთი.

თუმცა რომელი მხარეა საქართველოსი, რომ თავისებური სიმშვენიერე არ შესდგამდეს?—მე არ მეგულება ესეთი.

მაგრამ ქვემო იმერეთი თუ მშვენიერია ეს უფრო ადამიანის გარჯილობით.

თავისთავად კი ერთი უშველებელი დაცემული ვაკეა, სადაც ჯერ კიდევ მობორგავენ რიონი და ცხენის წყალი თავის შენაკადებით.

არსად მთა-გორაკი, არსად ტყე, მხოლოდ შორეულ მანძილზე მოსჩანან ერთის მხრით გურიის კოხტა გორაკები და იმას იქით ახალციხის ჩალურჯებული მთები, მეორე მხრით —სამეგრელოსი, მესამე მხრით—ლეჩხუმ-შორაპანისა და დასასრული დიდი საზღვარი ჩვენი ქვეყნის—შავი ზღვა.

ამის შუაგულ არის ქვემო იმერეთი მოქცეული.

და არ უნდა დიდი გამჭრიახობა იმის მიხვედრას, რომ ოდესღაც ამ ვაკის დიდ ფართობზე უსიერი ტყე იყო ამოხეთქილი. ამის მანიშნებელია დღეს თუნდაც აჯამეთის საუცხოვო ტევრი. ისეთი სქელი და მშრალი იყო ეს ტყე თურმე, რომ არსებობს გადმოცემა:

სოლომონ უკანასკნელი იმერეთისა იჯდა თავის „ოქროს ჩარდახზე“ და ღამით ნიავმა ნათელი შეურყია.

— ვაიმე! ვიღასაც აჯამეთში ხე მოუჭრია—ბრძანა თურმე.

მას შემდეგ კიდევ უფრო გაიკაფა ტყე, გაიწმინდა ეკალ-ბურდისაგან ქვემო იმერეთი, დაშრა ჭაობი და გაჩაღდა მოსახლეობა.

ეტყობა თავიდანვე მეტად გამრჯე ხალხი ჩამოსახლდა მთის „კინკრიხოებიდან“ ამ დაბლობზე რომ ასე გამშვენიერებულა ეს მიდამო.

ცაცხვი და თუთა, კაკლის ხეები და სხვა ხეხილნარი ახალისებენ აქაურ კოხტად შემოღობილ, კოინდრათ გადაბიბინებულ ეზოებს.

ალვის ხეები ხომ თითქმის ყოველ სახლკარს ოთხივ კუთხივ საპატიო ყარაულებათ ჩარაზმვია და თითქო ბევრს არას არგია აქაურობას არც თავის ჩრდილით, არც თავის ნაყოფით, თვალთათვის არის მხოლოდ საამური, მაგრამ ცისკენ კი არის ასხლეტილი და ამით გამოთქვამს თავის მისწრაფებას. ჩრდილით დახურულია ეზოს წინამო.

ასე რომ სიცხე-პაპანებაში იმერელს არ სჭირდება სადმე მთაში გაქცევა გასაგრილებლად. აქვე აქვს მშვენიერი ჭა, ცივი და ანკარა წყლით. უდგია კოხტა ოდა, მაღალ ქვის ბოძებზე შემდგარი, ყავრით ან კრამიტით დახურული, ცოტა მოშორებით უდგას ესრეთ წოდებული „სამზადი“ სახლი, ხშირად ისლით დახურული, რომლის შიგნითაც გაჩაღებულია ძველი „კერია“, იქვე აყუდია დიდი და ფართო რგვალი კეცი სქელი და გემრიელი მჭადის გამოსაცხობად და საერთოდ აქ სრულდება ყოველგვარი მდედელ-მოქმედება ქვაბებისა და ქოთნების მეოხებით ოჯახის დასაპურებლად და გამოსაკვებად. სასიმინდეები, ბეღლები და სხვა ესეთი მარაგის შესანახი ნაგებობანი უმეტესად გადატანილია ერთ დიდ საერთო ფართობზე, რადგანაც ქვემო-იმერეთი ამჟამად წარმოადგენს გაერთიანებულ შრომის უჯრედებს სხვადასხვა კოლმეურნეობათა სახით და ყველა კოლმეურნეობას თავის მომხრობილ, უფრო ცენტრალურ ალაგას აქვთ გამართული თავიანთ მონაგარის საწყობები, სახელოსნოები, სამეურნეო იარაღთა შესანახი და ზოგან ელსადგურიც, სახერხი ქარხანაც და სხვა ესეთი საჭირო საწარმოები.

უმეტესად კი მისდევენ რას?—მემინდვრეობას, ბოსტნეულს, ხეხილნარს, ჩაის, ციტრუსებს, მესაქონლეობას. იქა-აქ არის ვაზიც რომ დამაშვრალმა კოლმეურნემ დასვენების დროს, აქაურის განთქმულის „ალადასტურით“ ყელი ჩაიგემრიელოს.

და აი მიდიხართ თქვენ სამტრედიის რაიონის რომელიმე კოლმეურნეობის მინდვრებზე: ერთ ფართობზე ხედავთ კიტრია დათესილი, მხოლოდ ისე კი გამოთოხნილ-გამოწმენდილი, რომ კიტრის ბარდები ერთი მეორეზე დაშორებით ხალიჩაზე მოქარგულ ყვავილებსა ჰგავს. ზემოდან მხოლოდ მწვანე ფართე ფოთლები აფარია და აქა-იქ ყვითელი ყვავილები ელექტრონის პაწია ლამპრებივით გამოსჭვივა, თვით ნაყოფი კი ამ ფოთლებში შემალულა.

გადალახავთ საკიტრეთს, მას მოჰყვება ხახვის ფართობი, თითქმის თვალუწვდენი და თუ კიდევ უფრო ახლოს გინდათ გაეცნოთ, ამოთხრით და ხელში შეგრჩებათ ზოგან მართლა რომ კარგა მოზრდილ კომშის სისხო ხახვის ძირი. რა დოვლათია, რა საამური და უმთავრესი—რა სასარგებლო!

ამასაც გასცილდებით და უკვე წითელი ჰარხლის სამთავრო იწყებს თავის გულის გადაშლას, მის ძარღვიან ფოთლებს ყელი ისე მოუღერებიათ და ისე ფართოდ „გადაფანჩულან“, რომ ზღაპრული ქონდრის კაცი მართლა შეიჩრდილებს მის ქვეშ. მე კი მის დამნახველს—გამოვტეხილვარ, არა ვარ მსუნაგი კაცი, მაგრამ პირს ნერწყვი მომივიდა: გამახსენდა იმერულად, ნიგვზით და ძმრით შეკაზმული ამ ჰარხლის მხალი! მაგრამ ეხლა ძირი უნახეთ ამ ჰარხალსა! ეს უკვე საოცარი რამ არის: ძუძუმწოვარ გოჭის ხელა უთუოდ იქნება.

და ასეთ მადის მომგვრელ გარემოში იმყოფებით. აგერ სტაფილოს დიდი ყანა, სტაფილოებიც უზარმაზარი, გოლიათური მოყვანილობის. ბადრიჯნები, ისეც შესაფერი თავის მეზობლებისა და პამიდორები ხომ დიდრონი, მუშტის ტოლა, ნათელ ატლასის კაბა-შემოჭერებული.

ეხლა კომბოსტო, ლობიო და სხვა.

სიმინდის ყანებს კი ნუღა გადაერევით. ეს ისეთი ზღვაა, რომ თითქო ულევი და უსაზღვრო.

ხილი? რომელი ერთი ავწერო. ყველა საუცხოვო და „საიასალო“.

არა! სამტრედიის რაიონი მეტად მდიდარია თავის ნაყოფიერი მიწით და ადამიანის გეგმიან, ერთგულ შრომას მუდამ უხვსა და მადლიერ პასუხს აძლევს.

ასეთია თითქმის ყველგან სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობები, განსაკუთრებით იქ, სადაც მე მომიხდა ყოფნა: სოფ. ღანირის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ქსენია დანელია), ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. შალვა ჯანელიძე), სანავარდოს კოლმეურნეობა „განთიადი“ (თავმჯდომარე ამხ. თამარ თავაძე), სოფ. ეწერის, ამხანაგ ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ივ. ტაბიძე).

დაკვირვების შემდეგ მივხვდი, რომ აქ სირცხვილია კოლმეურნეობას ჰკითხოთ — მილიონერი ხართ თუ არაო. ეს უზრდელობათ ჩამოგერთმევათ, რადგან ეს საფეხური მათ განვლეს დიდი ხანია.

ამიტომ მე უფრო სხვა რამეებს ვეკითხებოდი.

ავიღოთ მაგალითისათვის სოფ. ეწერის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის სიგრძეა ოცდაორი კილომეტრი, სიგანე რვა კილომეტრი. 485 კომლი შედის კოლმეურნეობაში. ფრონტზე გაწვეულია მამაკაცების საგრძნობი ნაწილი. მაშასადამე მთელი სამუშაო თითქმის ქალებს აწევს. თუ წინად მარცვლეულის ფართობი 360 იყო, წრეულს 450-ა, ბოსტნეულის თუ იყო 42, წრეულს 69-ა და ასე სულ.

აქვთ ფერმა. ჰყავთ 258 სული რქოსანი საქონელი (ძროხა და ხარი). ჰყავთ იორქშირის ჯიშის ღორებიც.

ეწევიან მეფუტკრეობასაც, ჰყავთ 26 ოჯახი. ჰყავთ ცხენებიც.

ამ კოლმეურნეობაშიაც შრომის ნაყოფიერება დიდათ გაზრდილა. პური წრეულს მიიღეს 12 ცენტნერი, რაც საერთოდ ქვემოიმერეთისათვის თვალსაჩინო მონაგარს წარმოადგენს.

ჩაის გეგმა ივლისის 29-თვის შესრულებული იყო 132 პროც.

სამხედრო დახმარებისათვის დათესილია 6 ჰექტარი.

ამავე დროს ფრონტზე წასულებს აუშენეს 9 სახლი. მათ ოჯახებს საკვებად მისცეს 540 ფუთი მარცვლეულისა. სამ ოჯახს მისცეს თითოეულს თითო უშობელი.

ფრონტზე წითელარმიელებს გაუგზავნეს 80 კილო ყველი, 4 ტონა ბოსტნეული.

იმავ დროს თავის დროზე ესკადრილიის სასარგებლოთ 4 საათის განმავლობაში შეიტანეს 67,901 მან., სატანკო კოლონისათვის— 100.000 მან.

ამგვარად ხმა-შეწყობილად, გეგმიანად, ორგანიზებულად მუშაობს ზემოხსენებული კოლმეურნეობა, რომელსაც ბრიგადებში ჰყავს 50-ზე მეტი მოწინავე მუშა-ადამიანი და მათ უძღვება თავის საქმის კარგი მცოდნე ენერგიული ამხ. ტაბიძე.

და ასეთია სამტრედიის რაიონში ჩემგან ნახული სხვა კოლმეურნეობები. ზოგან ციფრები შეიძლება მეტიც იყოს, როგორც მაგალითად ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, მაგრამ საერთოდ ვცდილობ ციფრებით მაინც და მაინც არ დავტვირთო ეს წერილი —სანიმუშოდ კმარა ხსენებულიც.

მთავარი ის არის თუ რითი სუნთქავს ჩვენი სოფელი. და მოყვანილი მაგალითით თქვენ დაინახავთ, რომ სოფელი ჩაბმულია დიდს, დაძაბულს მუშაობაში და ეს ყოველივე გამიზნულია ფრონტის გამტკიცებისა და გამარჯვების უზრუნველყოფისათვის.

სამტრედიის რაიონში არის ერთი საყურადღებო მოვლენაც. ხშირად კოლმეურნეობის და სოფლსაბჭოს თავმჯდომარეებად იმყოფებიან უმაღლეს სწავლა-მიღებულნი. ასეთია სოფ. ჯიხაიშის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ვაშაკიძე, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. შალვა ჯანელიძე, სანავარდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. თამარ თავაძე და სხვ.

როდესაც იკითხავთ და ნამუშევარსაც გაეცნობით, ყოველგან დაინახავთ, რომ მათი მისვლის შემდეგ კოლმეურნეობა, ზოგან ჩავარდნილიც კი ფეხზე დამდგარა, აღორძინებულა და ამჟამად მოწინავე რიგებში დგას. ეს უსათუოდ ღირსშესანიშნავი ამბავია და წასაბაძ მაგალითად გამოდგება სხვა რაიონებისთვის.

აქ კიდევ შესამჩნევია გზები. კარგად არის გამოყენებული ქვემო იმერეთის ვაკე. არამც თუ მაგისტრალი, რომელიც გადის სამტრედიის რაიონზე ქუთაისიდან სოხუმამდის, არამედ თვით სოფლებში შესასვლელი გზები და ძველებური „შუკებიც“ დღეს ავტომანქანისთვისაც ადვილი და მომარჯვებული გასასვლელია. ამ გზებზე ეხლა ხშირად ხედავთ უწინარეს ყოვლისა უფრო სატვირთო მანქანებს, ორბორბლიან ცხენის ურიკებს, ურმებსაც ხარ-კამეჩ შებმულს, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად ველოსიპედებს. ცხენები შეუცვლია ამ ფოლადის საჯდომს.

მაგრამ რასაკვირველია, ქვემო იმერეთი ცივილიზაციის და თანამედროვე ტექნიკის მარტო ამ ნაყოფით არ კმაყოფილდება. სოფლებში არის ელექტრონის სინათლეც, რადიოც და ყოველმა რიგითმა კოლმეურნემ საღამოობით იცის რა გამარჯვების ამბავი მოგვიტანა ჩვენ ინფორმბიურომ. ის მშვენივრად ერკვევა საგარეო პოლიტიკის საქმეებშიაც, და ეს, რასაკვირველია, მიეწერება პარტიისა და ხელისუფლების სათანადო პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას სოფლებში.

რაიონში მრავალი სასწავლებელია. აი ავიღოთ თუნდა კულაშისა და დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმები. პირველში ამხ. ჩხეიძეა დირექტორად, მეორეში ამხ. მიქაძე.

რაიონს ტყუილად არ მოსწონს თავი ამ ტექნიკუმებით, ორივანვე საუცხოოთ და სანიმუშოდ არის გამართული სწავლების საქმე და პრაქტიკული მეცადინეობა.

გარემოებამ მოიტანა და უფრო ხშირი სტუმარი ვიყავ დიდი ჯიხაიშის ამხანაგ ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელსაც აქვს სამი განყოფილება: მეხილეობა-მებოსტნეობის, აგრონომიული (მემინდვრეობის) და საბუღალტერო-ეკონომიური.

თვითონ შენობა ტექნიკუმისა, კარგა მოზრდილი, ორსართულიანი მდებარეობს სოფლის ცენტრში და უჭირავს დიდი ფართობი, სადაც წინ, მისასვლელთან საყვავილე და წიწვოვანთა ხეივანია, რუსთაველის კოხტა ძეგლით შემკობილი, უკან კი მშვენივრად შემომესრილი ადგილი, სტადიონისათვის განკუთვნილი, თვით შენობა არის ისე დაცული, გეგონებათ ეს არის, ეხლა შესულან აქ სამუშაოთ, ისეთი სისუფთავითა და სიფაქიზით არის მოვლილი და შენახული მთელი შენობა. არსად ჭუჭყი, არსად კედელზე არაფერი მინაწერი ან მოხატული, რაც ასე ჩვევიათ ზოგჯერ და ზოგან ზოგ მოწაფეებს, არსად მინა ჩამტვრეული, ან ფანჯრების ჩარჩო მორღვეული თუ რაიმე ესეთი დუხჭირი რამ, ყველაფერი გაკრიალებული, სასარგებლო და საამური.

დაივლით კაბინეტებს და თქვენ იგრძნობთ, რომ მართლაც მეცოდნეობის ტაძარში იმყოფებით. ყოველივე საზრისიანად, გეგმიანად და გამოსადეგად არის განრიგებული, შედგენილი და გამოწყობილი. ბოლო ხანებში კი ეტყობა, რომ მეტი ყურადღება ექცევა სამხედროსა და ფიზკულტურის კაბინეტებს, ეს გასაგებიც არის, რადგან ამ ტექნიკუმშიაც ასწავლიან და წრთვნიან მოსწავლეებს სამხედრო ხელოვნებაში.

ტექნიკუმს დიდი დამსახურება მიუძღვის მოსახლეობის წინაშე. მან თავის არსებობის მანძილზე მრავალი სპეციალისტი მისცა ქვეყანას. ეტყობა ეს ტექნიკუმი იმდენად საყვარელია აქ სწავლა-მიღებულ ახალგაზრდობისათვის, რომ ამჟამად, როდესაც მისგან გამოსული მრავალი ახალგაზრდა ფრონტზე თუ ცხოვრების სხვა სარბიელზე იმყოფებიან, არ სწყვეტენ კავშირს ტექნიკუმთან, აქვთ ხშირი მიწერ-მოწერა და ტკბილად იგონებენ მათ განმკაცებელ საყვარელ დაწესებულებას.

წრეულს ზაფხულს კი ამავე ტექნიკუმმა მოაწყო თავის კედლებს შორის გამოფენა სამამულო ომის შესახებ და უნდა ითქვას, რომ გამოფენა შინაარსიანად და გემოვნებით იყო გამართული. ასეთივე შესანიშნავია ამ ტექნიკუმში მოწყობილი პარტკაბინეტი და დიდი ბელადის ოთახი.

ამავე რაიონში დიდი მუშაობაა ჩატარებული ჯანმრთელობის დარგში, რომლის აღწერასაც შევეცდები ცალკე წერილში.

მეტად ენერგიულად მუშაობენ ფრონტიდან დაბრუნებული ამხანაგები, რომლებიც ზოგი ან დროებით შვებულებაში არის წამოსული, ან ნაწილობრივ ინვალიდობის გამო განთავისუფლებულია. ესენი მიუხედავად მათი ფიზიკური ნაკლისა, თავდადებით მუშაობენ ზურგში ვისაც სად და რა შეუძლია. მაგალითისათვის: დიდი ჯიხაიშის მცხოვრები ამხ. შალვა პავლეს-ძე გოტონელი თავიდანვე კოლმეურნე იყო და მოწინავე ბრიგადირი. ომის დაწყების შემდეგ იყო ყირიმის ფრონტზე, ქერჩში, დაჭრილი იქნა. შემდეგ მორჩენისა იყო სტალინგრადთან. იქაც დაიჭრა მძიმეთ. მოარჩინეს, შემდეგ დაბრუნდა ისევ თავის სოფელში და თავის კოლმეურნეობაში კვლავ ბრიგადირად არის და თავგამოდებულად მუშაობს.

რკინისგზელი ამხ. სერგო ლეკვეიშვილი მოწინავე სამატარებლო ოსტატი იყო ომამდე. იყო ფრონტზე. იქ მოწინავე ტანკისტი გახდა. სამჯერ მძიმედ დაიჭრა. ამ ჟამად დაუბრუნდა ისევ რკინის გზას და კვლავ მუშაობს როგორც მოწინავე სამატარებლო ოსტატი; კიდევ რკინისგზელი, ამხ. მიხაილ გამენკო. მემანქანე ყოფილი პარტიზანია. სევასტოპოლის ბრძოლებში მიუღია მონაწილეობა. დაჭრილია. ამჟამად მუშაობს სამტრედიის რკინის გზის კვანძზე.

ეს ვიკმაროთ.

ასე რომ სამტრედიის რაიონი თავის რკინისგზის კვანძით, სოფლებით და კოლმეურნეობებით ილიასი არ იყოს, „ერთ დიდ ფიქრისა ფიქრობს“. მხოლოდ რაც მთავარია კი არ ფიქრობს მარტო, არამედ აკეთებს, მოქმედებს, აქტიობს ფრონტისათვის და ზურგის ერთ-ერთ მშვენიერ მძივად ებმება საბჭოთა ქვეყნის საერთო პატრიოტულ ანაქარგსა.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7043

ეროვნული ბიბლიოთეკა